

პერცეფტული გამოცდილების მეტაფიზიკა

ჰიუმის ნაშრომის „ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ“ ნაწილის -
„სკეპტიკური და სხვა ფილოსოფიური სისტემების შესახებ“ მიხედვით

თამაზ თოხაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ცხადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

სარჩევი

აბსტრაქტი _____ 3

შესავალი - პერცეფციის პრობლემის მცირე ისტორიული მიმოხილვა _____ ***ERROR!***
BOOKMARK NOT DEFINED.

უშუალო და გაშუალებული; რამდენიმე ბაზისური ცნების განმარტება _____ ***ERROR!***
BOOKMARK NOT DEFINED.

ჰიუმი ფიზიკური საგნის შესახებ _____ ***ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.***

ჰიუმისა და კანტის გარემომცველი სამყაროს თეორიების მსგავსებების შესახებ
_____ ***ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.***

ჰიუმი ცნობიერების ბუნების შესახებ _____ ***ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.***

დასკვნა _____ ***ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.***

ბიბლიოგრაფია _____ ***ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.***

ხშირად ხსენებული ნაშრომების შემოკლება

„კრიტიკა“ - წმინდა გონების კრიტიკა (ი.კანტი, თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 1979)

„ტრაქტატი“ - ტრაქტატი ადამიანის გაგების უნარის შესახებ (D.Hume, A Treatise Of Human Nature, Oxford University Press, 1976)

„გამოკვლევა“ - გამოკვლევა ადამიანის გაგების უნარის შესახებ (J. Locke, An Essay Concerning Human Understanding, Cambridge University Press, 1970)

“დიალოგი“ - სამი დიალოგი ჰილასსა და ფილონუსს შორის (G.Berkeley, Three Dialogues between Hylas and Philonous, 1979)

აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ზოგიერთი პრობლემა პერცეფციის ფილოსოფიაში, ონტოლოგიასა და მეტაფიზიკაში. პრობლემების უმრავლესობა ინსპირირებულია ჰიუმის ნაშრომის „ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ“ პირველი წიგნის მეოთხე ნაწილიდან - „სკეპტიკური და სხვა ფილოსოფიური სისტემების შესახებ“. ჩემი მიზანი არ არის მოცემული სექციების ფილოსოფიის ისტორიის კუთხიდან განხილვა, აქ ნაკლებად მაინტერესებს ჰიუმის არგუმენტების ზუსტი რეკონსტრუქცია. ის, რისი კვლევაც მე მაინტერესებს, არის კონკრეტული პრობლემები, რომელზეც ჰიუმს ბევრი საინტერესო რამ აქვს სათქმელი.

ნაშრომის პირველ ნაწილში შევეცდები პერცეფციის პრობლემები ჩემთვის საინტერესო ფილოსოფიურ კონტექსტში მოვაქციო. ამისთვის მოცემული პრობლემების ისტორიის განხილვა და რამდენიმე ბაზისური ტერმინის განმარტება იქნება აუცილებელი. ეს იქნება ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაო, რის შემდეგაც

შესაძლებელი გახდება ნაშრომის მთავარი საკითხის ფორმულირება - *ფიზიკური, ან მატერიალური საგნის ბუნება და მისი პერცეფტული ცნობიერება*.

მოცემული საკითხების ჩემეულ ხედვას, ვფიქრობ, საუკეთესოდ გადმოსცემს კანტის ცნობილი კონტრასტი ემპირიულ რეალიზმსა და ტრანსცენდენტალურ იდეალიზმს შორის.¹ მთავარი აზრი აქ ისაა, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ემპირიული რეალისტები, ანუ ვამტკიცოთ, რომ პერცეფტული ცნობიერება არის ფიზიკური საგნისა და გარემომცველი სამყაროს პირდაპირი და უშუალო ცნობიერება და ასევე, იმავდროულად, ვთქვათ, რომ გარემომცველი სამყარო, რაღაც მნიშვნელოვანი აზრით, დამოკიდებულია ან სტრუქტურირებულია თავად ჩვენი გონების, ან ცნობიერების მიერ.

ეს ძალიან ღრმა და ლამაზი აზრია, თუმცა, ამავედროულად, ბუნდავანი და ეზოთერული. მსგავსი აზრის ჩემეული ინტერპეტაცია შეგვიძლია რამდენიმე პუნქტად ჩამოვყალიბოთ:

- ჩვენ არ შეგვიძლია ფიზიკური საგანი (ან მატერია) რაიმე არადისპოზიციური თვისებით განვსაზღვროთ.
- ამ მტკიცების შედეგი იქნება, რომ ლოკისეული რეპრეზენტაციული თეორია, ან შეგრძნებების ფარდის (veil of perception) დოქტრინა (ანუ თეზისი, რომლის მიხედვითაც ნამდვილი ფიზიკური საგანი შეგრძნებების მიღმაა) მცდარი უნდა იყოს.
- დისპოზიციური თვისებები ცნობიერებაზე არის დამოკიდებული.
- ფიზიკური საგანი და გარემომცველი სამყარო წარმოსახვითი კონსტრუქციაა, იმ მრავალფეროვანი მგრძნობელობიდან, რომელიც შეგრძნებებში მოგვეცემა.

¹ აუცილებელია აღვნიშვნო, რომ ეს სრულიადაც არ გულისხმობს კანტის ცნობილი დოქტრინების ბნელი ნაწილის გაზიარებას (აქ ალუზიაა პიტერ სტროსონის ცნობილ ტექსტზე - „The Bounds of Sense“ სადაც სტროსონი „კრიტიკის“ ნათელ და ბნელ მხარეებზე საუბრობს). მოცემულ ბნელ ნაწილში, პირველ რიგში, კანტის „ავადსახსენებელ“ ტრანსცენდენტალურ ესთეტიკას ვგულისხმობ.

რა თქმა უნდა, ყველა კონტროვერსიული მტკიცება და ტერმინი ნაშრომის განმავლობაში იქნება დამუშავებული.

ნაშრომის დარჩენილი სექცია დაეთმო მძლავრ დასკვნების იმპლიკაციას თანამედროვე მეტაფიზიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემაზე, კერძოდ: ცნობიერების და ცნობიერი გამოცდილების მიმართებას ფიზიკურთან ან სხეულებრივთან. აქ ორი მნიშვნელოვანი შედეგი შეგვიძლია გამოვყოთ: პირველი, კარტეზიანული ცნობიერება-სხეულის სუბსტანციური დუალიზმი, ჰიუმის აზრით, მთლიანად უმსჯელოებაზე არის დაფუძნებული. კერძოდ, ფიზიკურის ან მატერიალურის მცდარ თეორიაზე.

ხოლო, მეორე მხრივ, ჰიუმის გვთავაზობს თავისებურ ახალ ხედვას, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივუდგეთ, ზოგადად, ცნობიერებისა და სხეულის (იგივე ფიზიკურის) მიმართების პრობლემას. ამას მე ცნობიერების შესწავლის სამუშაო ჰიპოთეზას ვუწოდებ.

ზოგიერთ აზრს ან მტკიცებას, რომლებსაც აქ გამოვთქვამ, შეიძლება ბევრი არაფერი ჰქონდეს საერთო თავად ჰიუმთან. თუმცა, ასევე, ვფიქრობ, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოდის მისი თეორიული ფილოსოფიის მთავარ პრინციპებთან. ყოველ შემთხვევაში, ამ პრინციპების იმგვარ ინტერპრეტაციებთან, როგორსაც დაბლა გავაკეთებ.

მოცემული საკითხების ხედვა, ჰიუმთან და კანტთან ერთად, ყველაზე მეტად, დავალებულია: პიტერ სტროსონის, ჰენრი პრაისის, ჰოვარდ რობინსონისა და ბერტრან რასელის შრომებისგან, რომლებიც, სხვა ტექსტებთან ერთად, ბიბლიოგრაფიაში მაქვს მითითებული.

განსაკუთრებული მადლობა სამაგისტროს ხელმძღვანელსა და მასწავლებელს, თამარ ცხადაძეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პერცეფცია, პერცეფტული გამოცდილება, უშუალო, გაშუალებული, წარმოდგენითი კონსრუქცია, ექსტრაპოლაცია, პირველადი და მეორადი თვისებები, დისპოზიციური და კატეგორიული თვისებები, ფენომენალიზმი, იდეალიზმი, პირდაპირი რეალიზმი, რეპრეზენტაციონალიზმი, ცნობიერებისა და სხეულის მიმართება.